განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი:

საქართველოს პარლამენტის მოქმედი რეგლამენტის ძალაში შესვლის შემდეგ, 2018 წლის დეკემბრიდან დღემდე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარლამენტში საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხი და უფრო ეფექტიანად ხდება პარლამენტის საკონტროლო ფუნქციების განხორციელება. საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილებაში, მიუხედავად ხელშესახები პროგრესისა, გამოიკვეთა რიგი პრობლემები და ხარვეზები რეგლამენტის ცალკეულ ნორმებთან დაკავშირებით, რომელთა დარეგულირება, არსებული მექანიზმების, პროცედურების დახვეწა და ახალი რეგულაციების განსაზღვრა აუცილებელია საპარლამენტო საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის მიღების აუცილებლობა:

საპარლამენტო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებში წარმოჩენილმა ხარვეზებმა და გამოწვევებმა, დღის წესრიგში დააყენა გარკვეული ცვლილებების განხორციელების საჭიროება არსებული მექანიზმების, პროცედურების დახვეწის და ახალი რეგულაციების განსაზღვრის მიმართულებით. ცვლილებების ასახვა უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამის ნორმებში, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ რეგლამენტი განსაზღვრავს პარლამენტის მუშაობის წესს.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საპარლამენტო საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებით, კიდევ უფრო ამაღლდება პარლამენტში საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხი და უფრო ეფექტიანად მოხდება მისი მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს ათეულობით შინაარსობრივ, არსებით, პროცედურულ, ტექნიკურ, ტერმინოლოგიურ, რედაქციული ხასიათის შესწორებას.

რეგლამენტის პროექტის თანახმად:

სამართლებრივად ზუსტდება და მკაფიოდ ყალიბდება პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ საპარლამენტო საქმიანობის ეფექტურად და შეუფერხებლად წარმართვას, მათ შორის:

- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცედურა, კანდიდატურების წარდგენის ვადასთან მიმართებით;
- კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის წარდგენისა და მოადგილეების არჩევის წესი;
- საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ საქართველოს გენერალურ პროკურორის წინადადების საფუძვლიანობის შესწავლა-განხილვის საკითხი;
- საქართველოს მოქალაქის ლობისტად რეგისტრაციის საკითხი;
- საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა;
- ყოფილი პარლამენტის წევრების პარლამენტის შენობაში შესვლის უფლება.
- საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი განცხადების და კანონპროექტის რეგისტრაცია, ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება.

განისაზღვრება

- პარლამენტის წევრის თანაშემწეების რაოდენობა;
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის უზრუნველყოფა იგივე სამუშაო პირობებით, რომლითაც სარგებლობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

საპარლამენტო პოლიტიკური სუბიექტებისა და საპარლამენტო ორგანოების მიერ თავისი უფლებამოსილების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით განისაზღვრება და ზუსტდება პროცედურები, რომლებიც უფრო მოქნილს გახდიან მათ მიერ საპარლამენტო საქმიანობის განხორციელებას:

- ფრაქციის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განისაზღვრება აღნიშნული გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვის პროცედურა;
- უფრაქციო პარლამენტის წევრები, ფრაქციების ანალოგიურად პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შემცირების შემთხვევაში, ვალდებულნი იქნებიან კვოტების შესაბამისად თვითონ განსაზღვრონ პარლამენტის ამა თუ იმ ორგანოდან გამოსვლის საკითხი. აღნიშნული ვალდებულების 1 კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში პარლამენტის ამა თუ იმ ორგანოდან შესაბამისი უფრაქციო პარლამენტის წევრის გამოწვევის საკითხის გადაწყვეტა განხორციელდება შესაბამისი ორგანოს მიერ წილისყრით.
- კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, კანონპროექტი წამყვან კომიტეტთან, სხვა კომიტეტებთან და ფრაქციებთან ერთად, გადაეცემა უფრაქციო პარლამენტის წევრებს, აგრეთვე უფრაქციო პარლამენტის წევრები, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლის, თანამომხსენებლის, კომიტეტისა და ფრაქციის წარმომადგენლების ანალოგიურად, სიტყვას წარმოთქვამენ სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმის წინ განთავსებული ტრიბუნიდან.

- პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრის და დამტკიცების შემთხვევაში, პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების დამტკიცება არ იწვევს შესაბამის ორგანოში ახალი კვოტების დამტკიცებამდე წარდგენილი იმ პარლამენტის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას, რომელთაც უშუალოდ არ ეხებათ ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები.
- განისაზღვრება, რომ თუ ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის ან ფრაქციის წევრის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა 7-ზე ნაკლები პარლამენტის წევრი 7 დღის ვადაში წევრი შესაბამის ფრაქციაში მიღებულად ჩაითვლება მის მიერ ფრაქციაში გაწევრების შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან.
- წევრი ფრაქციიდან გასულად ან გარიცხულად ჩაითვლება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისათვის წერილობით შეტყობინების მომენტიდან.
- ფრაქციათა თავმჯდომარეები მათი წევრების და უფრაქციო პარლამენტის წევრი მის მიერ პლენარული სხდომის გაცდენის მიზეზების თაობაზე წერილობით ინფორმაციას მიაწვდიან პარლამენტის თავმჯდომარესა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.
- გარკვევით და მკაფიოდ ყალიბდება საპარლამენტო უმრავლესობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საპარლამენტო უმრავლესობის სიის რეგისტრაციის პროცედურა.
- იხვეწება და ზუსტდება დროებითი კომისიის შექმნის და საქმიანობის რეგულაციები, დროებითი კომისიების, აგრეთვე პარლამენტის სათათბირო ორგანოების მიერ სხდომების გამართვის პროცედურები.

საპარლამენტო საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ფართოვდება უფლებამოსილებები და განისაზღვრება, რომ

- პარლამენტის თავმჯდომარეს საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცალკეულ საკითხებზე შეეძლება შექმნას საკონსულტაციო საბჭო. საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით;
- პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრება აგრეთვე სხდომათა დარბაზში დამსწრე პირთათვის სპეციალური ადგილების დაკავების წესი;
- პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დადგინდება პარლამენტის ავტოპარკის განახლების, სამსახურებრივი ავტომანქანების განაწილებისა და შესყიდვის წესი.

საპარლამენტო საქმიანობის ორკვირიანი ციკლის თანმიმდევრულად და უფრო ეფექტურად წარმართვისათვის, დგინდება, რომ:

- პარლამენტის მორიგი სესიის პლენარული სხდომების კვირაში დაუშვებელი იქნება კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებულია კანონპროექტის დაჩქარებული ან გამარტივებული წესით განხილვის შესახებ

გადაწყვეტილება, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვის შემთხვევებისა.

მკაფიოდ განისაზღვრება პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ:

- პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის ჩატარებას, გადადებას. განისაზღვრება ელექტრონული სისტემის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში სახელობითი კენჭისყრის გამართვის წესი;
- პარლამენტის წევრთა მიერ პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს განცხადებების გაკეთებას, რომლის თანახმადაც დეტალურად გაიწერება თითოეული პარლამენტის წევრის განცხადების ხანგრძლივობა, გამოსვლისთვის განკუთვნილი დროის სხვა პარლამენტის წევრისთვის დათმობის წესი;
- კანონპროექტის, ალტერნატიული კანონპროექტის, ალტერნატიული წინადადების, საკანონმდებლო პაკეტის, კანონპროექტის დაჩქარებული და გამარტივებული წესით განხილვას. ზუსტდება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნის შესახებ წერილობითი დასაბუთების წარდგენის წესი. ამასთან, უქმდება კანონპროექტის გამარტივებული წესით საკომიტეტო განხილვის შესახებ ერთკვირიანი ვადის შეზღუდვა. რეგლამენტს ემატება საკანონმდებლო პაკეტის კენჭისყრის ჩატარების განსხვავებული პროცედურა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება, პაკეტში შემავალ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლის მისაღებადაც საჭიროა ხმათა თანაბარი რაოდენობა კენჭისყრის ერთიანად გამართვის შესაძლებლობა;
- კანონპროექტის პარლამენტიდან გათხოვას/გათხოვილად მიჩნევას, კანონპროექტის განხილვის შეწყვეტას. განისაზღვრება ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც ინიციატორი არ გამოიტანს კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის, ასევე, გათხოვილად ჩაითვლება პროექტი, თუ ინიციატორი არ გამოიტანს ორი თანმიმდევრული მორიგი სესიის განმავლობაში კომიტეტში კანონპროექტს პირველი მოსმენით განხილვისთვის, ხოლო მეორე და მესამე მოსმენით პროექტის არ გამოტანის შემთხვევაში კანონპროექტის განხილვა შეწყდება. აგრეთვე, ის კანონპროექტები, რომლებიც წარდგენილია შესაბამისი პარლამენტის წევრის, რომლის უფლებამოსილებაც ვადამდე შეწყდა ან ფრაქციის მიერ, რომელიც გაუქმდა და პირველი მოსმენით არ არის მიღებული გათხოვილად ჩაითვლება წამყვანი კომიტეტის მიმართვის საფუძველზე აღნიშნული ფაქტის ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან;
- პარლამენტის წევრთა მიერ ინიციირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის განსახილველად გადაცემასა და მომხსენებლის განსაზღვრას.

ასევე,

- იცვლება პირველი მოსმენით კანონპროექტის განხილვისას მომხსენებლის გამოსვლისა და კითხვებზე პასუხის გაცემის დროის გაზრდის წესი;

- ზუსტდება პლენარულ სხდომაზე პარლამენტისათვის წარდგენილ ანგარიშზე მომხსენებლისა და თანამომხსენებლის განსაზღვრის საკითხი;
- რეგლამენტს ემატება საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი;

სამართლებრივად იხვეწება და ზუსტდება საკომიტეტო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგლამენტით განსაზღვრული მექანიზმები და პროცედურები, კომიტეტების საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვის მიმართულებით, კერძოდ:

- კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს უმრავლესობის კვოტით არჩეული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი ოპოზიციის კვოტით არჩეული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას პარლამენტის თავმჯდომარე დაავალებს კომიტეტის ერთ-ერთ წევრს.
- კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად არ იქნება მიჩნეული კომიტეტის სხდომის მოწვევა სხდომის დღის წესრიგისა და თარიღის წინასწარ გამოქვეყნების ვადის დარღვევით.
- ფრაქციის მიერ დანიშნული კომიტეტის წევრის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული წევრის დროებით ფრაქციის სხვა წევრით (სესიის განმავლობაში არაუმეტეს ხუთჯერ) შეცვლის წესთან დაკავშირებით განისაზღვრება, რომ აღნიშნულ რაოდენობაში არ ჩაითვლება თუ ფრაქციის წევრი კომიტეტის სხდომას ვერ ესწრება საპატიო მიზეზის გამო;
- ზუსტდება კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტზე მომხსენებლის დანიშვნის წესი, ამასთან, ვიწროვდება მთავრობის მიერ ინიციირებულ კანონპროექტებზე მომხსენებელთა დანიშვნის წრე და განისაზღვრება მსგავსად პლენარული სხდომისა;
- განისაზღვრება, რომ კომიტეტის მიერ მიღებული აქტი, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხის მოკლე აღწერილობას, კომიტეტის დასაბუთებულ პოზიციას ან/და რეაგირების კონკრეტულ ზომებს.
- განისაზღვრება, რომ იმ საკითხზე, რომელზეც კომიტეტის მიერ არ ხდება დასკვნისა და რეკომენდაციის შემუშავება მიიღება კომიტეტის გადაწყვეტილება.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, უფრო მეტად დაიხვეწება პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ:

- ინტერპელაციას. დაზუსტდება მისი დასრულების შემდეგ დადგენილების წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების და ანგარიშის მოსმენას, რომლის დასრულების შემდეგაც განისაზღვრება დადგენილების წარდგენისა და მიღების პროცედურა, აგრეთვე, პრემიერ-მინისტრის მიერ ანგარიშის წარდგენის მოთხოვნის პროცედურა გაიწერება დეტალურად;

- თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე გამოცხადებასთან დაკავშირებით დეტალურად განისაზღვრება თანამდებობის პირის კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნით პლენარულ სხდომაზე მოწვევის პროცედურა.

საპარლამენტო საქმიანობის რეგლამენტით განსაზღვრული წესისა და პროცედურების დაცვით წარმართვისათვის სამართლებრივად ზუსტდება და მკაფიოდ განისაზღვრება:

- ვადების ათვლის წესი, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დღეებით არის განსაზღვრული;
- ზუსტდება კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის (განსახილველ საკითხებთან ერთად) პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადა - კომიტეტის სხდომის გამართვა შესაძლებელი იქნება კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუადრეს მე-3 კალენდარული დღისა და აღნიშნული ვადა არ გავრცელდება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შემთხვევაზე, ასევე კომიტეტის სხდომის იმავე დღეს გადადების შემთხვევაში;
- იზრდება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ პარლამენტისათვის კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის წერილობითი ანგარიშის და შესაბამისი მოხსენების წარდგენის ვადა საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვემდე - ნაცვლად 2 კვირისა.
- იცვლება კომიტეტის მიერ საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ვადა, ნაცვლად პარლამენტის უფლებამოსილების ვადისა, კომიტეტის მიერ განსაზღვრული ვადით.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

განმარტებითი ბარათის ეს ნაწილი არ ვრცელდება წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტზე.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეგლამენტისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

საპარლამენტო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და არსებული გამოწვევების დროულად დაძლევის მიზნით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა ერთი პუნქტისა, რომელიც ამოქმედდება 2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორი არ ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღების შედეგად გამოწვეული ხარჯები დაიფარება საქართველოს პარლამენტისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს უმრავლესობის ლიდერისათვის იგივე გარანტიების (მათ შორის, გასამრჯელო, სამდივნო, სამსახურებრივი ავტომობილი, კავშირგაბმულობის საშუალებები) უზრუნველყოფას, რომლებითაც სარგებლობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. შესაბამისად, აღნიშნული თანხების მიმღებ პირები გადაიხდიან გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერისათვის, რადგან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, როგორც წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე, ისედაც უზრუნველყოფილია აღნიშნული გარანტიებით (მათ შორის შექმნილია სამდივნო). შესაბამისად, დღეს მოქმედ თანამდებობებზე მყოფ პირებთან მიმართებით ფინანსური შედეგები უცვლელი რჩება.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულია უმრავლესობის ლიდერისათვის იგივე გარანტიების (მათ შორის, გასამრჯელო, სამდივნო, სამსახურებრივი ავტომობილი, კავშირგაბმულობის საშუალებები) უზრუნველყოფა, რომლებითაც სარგებლობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები გავლენას იქონიებს პარლამენტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გასამრჯელო ამჟამად უთანაბრდება იმ პარლამენტის წევრის გასამრჯელოს, რომელიც არ არის პარლამენტის თანამდებობის პირი, ხოლო რეგლამენტით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად მისი ანაზღაურება გაუთანაბრდება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გასამრჯელოს, რა შემთხვევაშიც სხვაობა შეადგენს 1716 ლარს. ასევე, უმრავლესობის ლიდერი ისარგებლებს იმ გარანტიებით (სამუშაო ფართობი, სამსახურებრივი ავტომობილი, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა ტექნიკური საშუალებები), რითიც სარგებლობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. გარდა აღნიშნულისა, რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის სამდივნოს შექმნა გამოიწვევს ხარჯების ზრდას, რაც დამოკიდებული იქნება სამდივნოში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისა და მათი შრომის ანაზღაურების ოდენობაზე, ასევე მათთვის საჭირო სამუშაო პირობებით უზრუნველყოფაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერისათვის,

რადგან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ისედაც უზრუნველყოფილია აღნიშნული გარანტიებით (მათ შორის შექმნილია სამდივნო), როგორც წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე. შესაბამისად, დღეს მოქმედ თანამდებობებზე მყოფ პირებთან მიმართებით ფინანსური შედეგები უცვლელი რჩება და შესაბამისად, არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულია უმრავლესობის ლიდერისათვის იგივე გარანტიების (მათ შორის, სამდივნო, სამსახურებრივი ავტომობილი, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა ტექნიკური საშუალებები) უზრუნველყოფა, რომლებითაც სარგებლობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერისათვის, რადგან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ისედაც უზრუნველყოფილია აღნიშნული გარანტიებით, როგორც წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე. შესაბამისად, დღეს მოქმედ თანამდებობებზე მყოფ პირებთან (საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, სამდივნოს თანამშრომლები) მიმართებით ფინანსური შედეგები უცვლელი რჩება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ ახდენს გავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, რეგლამენტის პროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი რეგლამენტების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, გიორგი კახიანი და გენრიეტა წიწავა

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: წევრები: ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, გიორგი კახიანი და გენრიეტა წიწავა